



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N26/ნ

21 აპრილი 2023 წ.

ქ. თბილისი

ინსულტის მართვის სისტემის ფუნქციონირების წესის დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 და მე-16 მუხლების, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „თ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

1. დამტკიცდეს თანდართული:

- ა) „ინსულტის მართვის სისტემის ფუნქციონირების წესი“ (დანართი 1);
- ბ) „პაციენტის რეფერირების კრიტერიუმები ინსულტის მართვის სისტემაში“ (დანართი 2).
- გ) „ინსულტზე საექვო შემთხვევაში სასწრაფო გადაუდებელი დახმარების მიერ პაციენტის შეფასებისა და ტრანსპორტირების პროტოკოლი“ (დანართი 3).

2. ინსულტის მართვის 2-დონიან სისტემაში მონაწილეობის მიზანშეწონილობისა და შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, სტაციონარულმა სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა მიმართონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული

საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) არაუგვიანეს 2023 წლის 1 ივნისისა, ხოლო სააგენტო ვალდებულია 2023 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს აღნიშნული დაწესებულებების შეფასება.

3. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - აგენტო) უზრუნველყოს ინსულტის მართვის სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი აუდიტის კრიტერიუმების (ბაზისური ინდიკატორები: გატარებული პაციენტების რაოდენობა, ჩატარებული თრომბოლიზისების და თრომბექტომიების რაოდენობა და კლინიკური გამოსავლები) გათვალისწინებით და ანგარიშის ყოველკვარტალური წარდგენა ინსულტის მართვის საკოორდინაციო საბჭოსთვის (შემდგომში - საკოორდინაციო საბჭო), რომლის შემადგენლობა და დებულება განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა (შემდგომში - გადაუდებელი დახმარების ცენტრი) უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ინსულტზე საექვო შემთხვევაში სასწრაფო გადაუდებელი დახმარების მიერ პაციენტის შეფასებისა და ტრანსპორტირების პროტოკოლის დანერგვის უზრუნველსაყოფად.

5. დაევალოს სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი) და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს (შემდგომში - იტა), შესაბამის დარგობრივ ასოციაციებთან თანამშრომლობით, განახორციელონ ღონისძიებები სამედიცინო მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მიზნით ინსულტის რეგისტრის შექმნისა და **2024 წლის 1 იანვრიდან** ამოქმედებისთვის

## მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული  
ტერიტორიებიდან დევნილთა,  
შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი